www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხოვრების დონის მაჩვენებლები

შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები 2025

25.05.2026
www.geostat.ge

25.05.2026

ცხოვრების დონის მაჩვენებლები
(შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები)
2025 წელი

შემოსავლები

2025 წელს საქართველოში საშუალო თვიური შემოსავლები (ფულადი და არაფულადი სახსრები) ერთ შინამეურნეობაზე, წინა წელთან შედარებით, 12.4 პროცენტით გაიზარდა და 2 131 ლარი შეადგინა, ხოლო საშუალო თვიური შემოსავლები ერთ სულზე 12.5 პროცენტით გაიზარდა და 664 ლარს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრები ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე, 2012-2025 წლებში.

დიაგრამა №1

საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრები
ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე
(ლარი)



შინამეურნეობების შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები, რომლის წილიც 2025 წელს, წინა წელთან შედარებით, 0.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 90.5 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი ქალაქის ტიპის დასახლებებში 94.2 პროცენტს, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 83.2 პროცენტს შეადგენდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შინამეურნეობების ფულადი და არაფულადი სახსრების განაწილება ძირითადი წყაროების და დასახლების ტიპის მიხედვით, 2022-2025 წლებში.

დიაგრამა №2

ფულადი და არაფულადი სახსრების განაწილება
(%)



ქალაქის ტიპის დასახლებებში საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე 12.9 პროცენტით გაიზარდა და 2 233 ლარი შეადგინა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 11.3 პროცენტით გაიზარდა და 1 954 ლარს გაუტოლდა.

ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერტების სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავლებს უჭირავს, რომლის წილი წინა

წელთან შედარებით 1.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 49.3 პროცენტი შეადგინა. თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლების წილი 0.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 13.3 პროცენტს გაუტოლდა. პენსიებიდან, სტიპენდიებიდან და სოციალური დახმარებებიდან მიღებული შემოსავლების წილი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 0.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 21.9 პროცენტი შეადგინა. ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერტების სტრუქტურა განსხვავდება ქალაქისა და სოფლის ტიპის დასახლებებში.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ფულადი შემოსავლების და ტრანსფერტების განაწილება კატეგორიების და დასახლების ტიპის მიხედვით, 2025 წელს.

დიაგრამა №3

ფულადი შემოსავლების და ტრანსფერტების განაწილება
(%)



ხარჯები

2025 წელს საქართველოში საშუალო თვიური ხარჯები, წინა წელთან შედარებით, 11.6 პროცენტით გაიზარდა და ერთ შინამეურნეობაზე გაანგარიშებით 1 936 ლარი, ხოლო ერთ სულზე - 603 ლარი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საშუალო თვიური ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე, 2012-2025 წლებში.

დიაგრამა №4

საშუალო თვიური ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე
(ლარი)



25.05.2026

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2025 წელს, წინა წელთან შედარებით შინამეურნეობების სამომხმარებლო ფულადი ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში 0.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 69.3 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შინამეურნეობების ხარჯების განაწილება ძირითადი კატეგორიების და დასახლების ტიპის მიხედვით, 2022-2025 წლებში.

დიაგრამა №5

ხარჯების განაწილება
(%)



საშუალო თვიური ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე ქალაქის ტიპის დასახლებებში 11.1 პროცენტით გაიზარდა და 2 015 ლარი შეადგინა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 12.2 პროცენტით გაიზარდა და 1 799 ლარს გაუტოლდა.

სამომხმარებლო ფულადი ხარჯების სტრუქტურაში ყველაზე მაღალია სურსათზე, სასმელზე და თამბაქოზე გაწეული ხარჯები, რომლის წილი წინა წელთან შედარებით 0.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 38.7 პროცენტი შეადგინა. სამომხმარებლო ფულადი ხარჯების სტრუქტურა განსხვავდება ქალაქისა და სოფლის ტიპის დასახლებებში.

25.05.2026

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამომხმარებლო ფულადი ხარჯების განაწილება კატეგორიების და დასახლების ტიპის მიხედვით, 2025 წელს.

დიაგრამა №6

სამომხმარებლო ფულადი ხარჯების განაწილება
(%)



საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge